



ეთიკური ნორმების ფორმირება სამედიცინო მომსახურების სფეროში და მისი ისტორიული განვითარება

სოფიო შირცხალავა
სტუ-ს დოქტორანტი
sophiapir@yahoo.com

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ეთიკის რაობა, ნორმები და მისი როლი სამედიცინო პრაქტიკაში. ეთიკური პრინციპები, როგორიცაა პიროვნების პატივისცემა, ინფორმირებული თანხმობა და კონფიდენციალურობა, არის ძირითადი და აუცილებელი პირობა ექიმ-პაციენტის ურთიერთობაში. ეთიკა არის ცოდნის საკითხი, ხოლო მორალი - ქმედება.

საკვანძო სიტყვები: ეთიკა, მედიცინა, პაციენტი, ექიმი, ბიზნესი, სამედიცინო მოვალეობა, კოდექსი

შესავალი

ეთიკა ფილოსოფიური დისციპლინაა, რომელიც მორალსა და ზნეობას შეისწავლის. სამედიცინო ეთიკა სამედიცინო დარგის მუშაკების პაციენტებთან და კოლეგებთან ურთიერთობას, პროფესიული ქცევის ნორმებს შეისწავლის.

სამედიცინო ეთიკის ძირითად პრინციპებს ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1500 წლის წინ ინდოელი ექიმები პროფესიულ ფიცს დებდნენ. ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჰიპოკრატეს ფიცს, რომელიც ამოძაბალი წერტილი გახდა სხვა პროფესიულ-მორალური სამედიცინო კოდექსების შექმნისთვის.

საუკუნეების მანძილზე ექიმებისა და ფარმაცევტების მოღვაწეობის ძირითად საფუძველს წარმოადგენდა ჰიპოკრატეს / V-VI ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე/ მიერ მოწოდებული ეთიკური ნორმები. თავის ცნობილ ფიცში ჰიპოკრატე მოითხოვდა: მეურნალი არად აგდებს ფულს, იყოს სინდისიერი, თავმდაბალი, იცვამდეს სადად, პატივი სცეს თანამოსახუბრის მსჯელობას, საქციელში ამუღავნებდეს სიმტკიცეს, საღ აზროვნებას, საქმის მაღალ ცოდნას, შეეძლოს რჩევის მიცემა, თუ რაა სასარგებლო და საჭირო სიცოცხლისათვის, უგულვებელყოფდეს მანკიერ-

ბას და სხვაჰიპოკრატე თვლიდა, რომ მეურნალი მიაღწევს წარმატებას, თუ მარჯვედ / მოხერხებულად/ შესძლებს დაუმალოს ავადმყოფს ზოგიერთი თავისი დანიშნულების არსი. მომღიმარი, მხიარული სახითა და ნათელი მხერით / დამაჯერებელი გამომეტყველებით/ შთააგონოს თუ რა უნდა გააკეთოს მან. მკაცრი, მაგრამ ამავე დროს ალერსიანი მოქცევით უნდა დაამშვიდოს, ანუგეშოს ავადმყოფი, ჩაუსახოს გამოჯანმრთელების იმედი და არ უნდა აგრძნობინოს თუ რა მოელის, ან რა მოუვა მას.

სამედიცინო ეთიკის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა X-XI საუკუნეების მეცნიერ-ენციკლოპედისტმა აბუ ალი იბნ სინამ, რომელმაც შექმნა უმნიშვნელოვანესი სამედიცინო თხზულება „საექიმო ხელოვნების კანონი“. საქართველოში სამედიცინო ეთიკის და დეონტოლოგიის საპრობლემო საკითხებს მიუძღვნეს თავისი შრომები ვ. ბაბუხაძემ, ვ. შანიძემ, ლ. წაქაძემ, ვ. ხიმშიაშვილმა და სხვებმა.

მეოცე საუკუნის შუა პერიოდიდან სამედიცინო ეთიკის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სამედიცინო ცოდნის გავრცელებამ და სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ. სწორედ ამ პერიოდში მრავალ ქვეყანაში ახალი ეთიკური კოდექსები შეიქმნა. მსოფლიო სამედიცინო ასოციაციამ 1948 წელს ჩამოაყალიბა „ჟენევის დეკლარაცია“, რომელიც ჰიპოკრატეს ფიცის თანამედროვე ვარიანტს წარმოადგენს. ხოლო 1949 წელს შეიმუშავა უფრო დეტალური „სამედიცინო ეთიკის საერთაშორისო კოდექსი“.

1. ეთიკის მოვალეობა და ნორმები სამედიცინო მომსახურების სფეროში

სამედიცინო ეთიკა მუდმივად განახლებადი და განვითარებადი დარგია. ის რეალურად არსებულ ზნეობრივ ასპექტებს განიხილავს, კერძოდ - ექიმის პაციენტთან დამოკიდებულებას, დაპირისპირების სავარაუდო მიზეზებს, ასევე - უკვე წარმოშობილ კონფლიქტებს. ყურადღება



ეთიკა ავადმყოფის ზნეობრივ – ეთიკურ პოზიციასაც. თანამედროვე პაციენტი უფრო აქტიურია, უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ ჯანმრთელობას, თანამშრომლობს ექიმთან ყველა იმ გადაწყვეტიების მიღებაში, რაც მის ჯანმრთელობას ეხება.

ხშირად ხდება ორი ტერმინის დეონტოლოგიისა და ბიოეტიკის არევა. დეონტოლოგია ეს არის პასუხისმგებლობა სხვა ადამიანების მიმართ. ანუ დეონტოლოგიის თეორიული საფუძველი არის სამედიცინო ეთიკა, ხოლო თვით დეონტოლოგია გულისხმობს სამედიცინო ეთიკის პრინციპების პრაქტიკულ გამოყენებას.

ტერმინი „დეონტოლოგია“ სათავეს იღებს ბერძნული სიტყვიდან „დეონ“ (მოვალეობა). ანთებული სანთელი - სიმბოლური ემბლემა, რომელიც ჯერ კიდევ XVII საუკუნეში გამოიყენა ვან ტულპსიმ, მედიკოსის პროფესიული ქცევის არსის ამსახველია.

დეონტოლოგიის ძირითადი კითხვებია:

- რა არის ჩემი მორალური მოვალეობა?
- რა არის ჩემი მორალური ვალდებულება?
- როგორ ავწონო ერთი მორალური მოვალეობა მეორის მიმართ?
- სიტუაციიდან გამომდინარე სამედიცინო პროფესიის წამომადგენელი 6 ძირითადი პრინციპით ხელმძღვანელობს:
- გულისხმიერება - „Salus aegroti suprema lex“;
- ზიანის მიყენება - „უპირველესად არ ავნო“ – „Primum non nocere“;
- ავტონომიურობა - „Voluntas aegroti suprema lex“;
- სამართლიანობა - „Lustum“;
- ღირსება - „Honorum“;
- სიმართლე და პატიოსნება - „Verum“.¹

თუმცა თანამედროვეობიდან გამომდინარე პრინციპები ხშირად წინააღმდეგობრივია, რასაც ეთიკურ დილემამდე მიყვავართ. მაგალითად, ცოცხალი დონორისგან თირკმლის ტრანსპლანტაციის დროს ექიმი არღვევს პრინციპს „Primum non nocere“ – „არ ავნო“, თუმცა მიზანი - ჰუმანურია.

ასევე ერთ-ერთი განსაკუთრებული განსჯის თემაა ექიმის ეთიკა და რეკლამა. ექიმი არ უნდა მონაწილეობდეს პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მეურნეობის მეთოდების და, განსაკუთრებით სამეურნეო წამლო საშუალებების რეკლამაში. სამედიცინო ხასიათის გამოცემებში, სამეცნიერო ფორუმებზე გამოსვლებში, მასმედიის საშუალებებით საგანმანათლებლო

მოღვაწეობაში ექიმები უზადოები უნდა იყვნენ ეთიკური თვალსაზრისით, ანუ უნდა იძლეოდნენ მხოლოდ მეცნიერულ-პრაქტიკულ ინფორმაციას, რომელიც არ შეიცავს რეკლამასა და თვითრეკლამას.

გარკვეული ეთიკური ნორმები, ჯამობრივად წარმოდგენილი ცალკეული კონკრეტული პროფესიისათვის, პროფესიონალურ ეთიკად იწოდება. პროფესიონალური დეონტოლოგია არის ეთიკის შემადგენელი ნაწილი, რომლებიც გარდა საერთო პრინციპებისა და წესებისა, განსაზღვრავს პროფესიონალური მორალის ფორმებს, კონკრეტულ სფეროში მოღვაწეობის პრინციპებს.

ეთიკა მოიცავს საკითხებს არა მარტო მოვალეობის შესრულებისა ავადმყოფისა და საზოგადოების მიმართ, არამედ ფარმაცევტის ქცევას არა სამსახურებრივ სიტუაციებშიც.

2003 წლის 6 მაისს საქართველოს ექიმთა კონგრესი იღებს «საქართველოს ექიმის ეთიკის კოდექსს». კოდექსში ჩამოყალიბებულია პაციენტთან, კოლეგასთან, მთლიანად საზოგადოებასთან ექიმის ურთიერთობის განმსაზღვრელი ეთიკური პრინციპები. ეს კოდექსი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის ექიმის საქმიანობის ღირსეულად წარმართვის საფუძველია. მასში ჩამოყალიბებული დებულებები იმისი წინაპირობაა, რომ სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას არ შეიღახება პაციენტისა და ექიმის უფლებები და ღირსება. ექიმის უზენაესი მოვალეობაა ინდივიდის, ოჯახის, მთლიანად საზოგადოების ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

2. ექიმის პროფესიული სტანდარტები და ნორმები

საექიმო საქმიანობის აღსრულებისას ექიმის გზამკვლევაა მხოლოდ პროფესიული სტანდარტები და საყოველთაოდ აღიარებული ეთიკური ნორმები.

ექიმი განსაკუთრებულად ზრუნავს დაუცველ, მოწყვლად ადამიანებზე – ბავშვზე, მოხუცზე, სულით ავადმყოფზე, ხეიბარზე, მარტოხელაზე, მიუსაფარზე, პატიმარზე, ტყვეზე.

უკუჩვენებელი სენით დაავადებული თუ სასიკვდილოდ განწირული ავადმყოფისათვის სათანადო სამედიცინო დახმარებას და სულიერ თანადგომას ექიმი აგრძელებს პაციენტის სიცოცხლის ბოლომდე.

ექიმი განუხრებლად ზრუნავს საკუთარი შესაძლებლობებისა და არსებული რესურსების კეთილგონიერულად გამოყენებისათვის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასა-

¹ forum.ge ... ჯანმრთელობა და მედიცინა, სტომატოლოგია



ცავად.

ექიმისათვის მიუღებელია პროფესიული ცოდნისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება არაპუნქტუალური მიზნებით.

ექიმი იცავს თავისი ქვეყნის საკანონმდებლო ნორმებს, ხოლო თუ ეს უკანასკნელნი ხელს უშლიან მას პროფესიული მოვალეობის აღსრულებაში, ძალღონეს არ იშურებს მათ შესაცვლელად.

პროფესიული ცოდნის განახლება და სრულყოფა, შესაბამისი უნარ-ჩვევების დახვეწა ექიმის ყოველდღიური საზრუნავია მთელი მისი პროფესიული საქმიანობის მანძილზე.

პაციენტთან, კოლეგასთან, საზოგადოებასთან ურთიერთობისას ექიმი სამართლიანი, უანგარო და კეთილგანწყობილია.

ექიმი თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ეხმარება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემებს. ის პატივს სცემს პაციენტის პიროვნებას, მის კულტურულ, სულიერ და მორალურ და ფასეულობებს.

ექიმი თანაბარი გულისყურითა და მზრუნველობით ეპყრობა ყოველ პაციენტს უგამონაკლისოდ, აღიარებს პაციენტის უფლებას მონაწილეობდეს მისთვის (პაციენტისათვის) სამედიცინო დახმარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაში. ინფორმირებული თანხმობა პაციენტთან ურთიერთობის ფუძემდებელი პრინციპია.

ექიმი საიდუმლოდ ინახავს პაციენტის ჯანმრთელობასთან და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ ფაქტებს, პაციენტის სიკვდილის შემდგომაც კი, თუ საიდუმლოს გამჟღავნებას მას კანონი არ ავალდებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ექიმი აცნობებს პაციენტს (ან მის ჭირისუფალს) საიდუმლოს გამჟღავნების განზრახვის შესახებ.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აუცილებლობის ან სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის შემთხვევაში ექიმი შეძლებისდაგვარად ეხმარება ნებისმიერ ადამიანს არასამუშაო ადგილზეც.

არასრულწლოვანისათვის (ბავშვისათვის) სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას ექიმი შეძლებისდაგვარად ცდილობს მაქსიმალურად დაზოგოს ბავშვი და შეუქმნას მას უშფოთველი, ნაკლებად დამთრგუნველი გარემო, კეთილგანწყობილად ისმენს ბავშვის აზრს, რითაც გარკვეულწილად თანამონაწილედ იხდის მას.

ექიმს შეუძლია უარი თქვას ამა თუ იმ სახის სამედიცინო ჩარევაზე, თუ ასეთი ჩარევა ეწინააღმდეგება ექიმის მორალურ და კულტურულ ფასეულობებს და შესაძლებელია, რომ პაციენტს სამედიცინო დახმარება გაუწიოს სხვა ექიმმა. ამის შესახებ ექიმი აცნობებს კიდევაც

პაციენტს.

ექიმი ცდილობს ისეთი სამუშაო გარემოს შექმნას, რომელიც აუცილებელია პაციენტისათვის ადეკვატური სამედიცინო დახმარების გასაწევად.

ექიმი უფრთხილდება თავისი პროფესიის პრესტიჟს, ისევე როგორც ექიმსა და პაციენტს შორის დამკვიდრებულ ნდობას. იგი ისე წარმართავს საექიმო საქმიანობას, რომ ჩრდილი არ მიაყენოს თავის პროფესიას. ექიმი უყოყმანოდ უთითებს კოლეგას მის პროფესიულ ნაკლსა და არაეთიკურ საქციელზე. საჭიროებისამებრ ექიმი კოლეგის საქმიანობაში შემჩნეულ პროფესიულ ნაკლს განსჯის კოლეგების წრეშიც. მიუღებელია სხვა ექიმის საექიმო შეცდომაზე საჯაროდ (სახალხოდ) მსჯელობა, თუ ამას კანონმდებლობა არ მოითხოვს.

ექიმი თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ყოველ ღონეს ხმარობს, რათა დაეხმაროს სხვა ექიმს პროფესიული მოვალეობის აღსრულებაში.

ექიმს გაცნობიერებული აქვს საკუთარი პროფესიული შესაძლებლობები. თუ მას აკლია სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ის დასახმარებლად სხვა ექიმს უხმობს.

ექიმი პაციენტს კოლეგასთან გზავნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნებულია ამ უკანასკნელის კომპეტენციაში. ამასთან, კონსულტაციის წინ იგი კოლეგას აწვდის პაციენტის სათანადო სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ყველა ინფორმაციას.

ექიმი დაწვრილებით ინფორმაციას და დასკვნას აწვდის კოლეგას, რომელიც პაციენტს მასთან გზავნის საკონსულტაციოდ.

ექიმი ეხმარება კოლეგას, რომელიც ცდილობს იმოქმედოს პროფესიული ეთიკის უზენაესი პრინციპების შესაბამისად და რომელსაც აიძულებენ უგულებელყოს აღნიშნული პრინციპები.

ექიმი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია მისთვის ცნობილ იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მთლიანად საზოგადოების თუ მისი ცალკეული ჯგუფების ჯანმრთელობის გაუარესებას იწვევს და რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელია; ამასთან, იგი თავადაც მონაწილეობს ამ გარემოებათა შეცვლის პროცესში.

ექიმი ეხმარება სამედიცინო დახმარების საყოველთაო ხელმისაწვდომობის პრობლემას და, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მინიმუმამდე შეამციროს დაბრკოლებები სამედიცინო დახმარების მიღებისას.



ეთიკა სამედიცინო პრაქტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია. თითოეული ექიმი ყოველდღიურად ხვდება სიტუაციაში, რომელიც ეთიკურ განსჯას მოითხოვს.

სამედიცინო პრაქტიკაში ზოგიერთი საკითხი ნაკლებ სადავო და ადვილად გადასატარებელია, მეორე მხრივ, შეიძლება იყოს დაურწმუნებლობა და შეუთანხმებლობა მკურნალობასთან დაკავშირებით.

ეთიკურ საკითხებშიც ასეა.

ზოგი შემთხვევა შედარებით ადვილი გადასაწყვეტია. ძირითადად იმიტომ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობილია თუ როგორი ქცევა შეიძლება ჩაითვალოს სწორად. (მაგ. ექიმმა ყოველთვის უნდა მიიღოს თანხმობა მკურნალობის ჩატარებაზე.)

ექიმი დილემის წინაშე დგება ისეთი საკითხის გადაჭრისას, რომლის გადაწყვეტაზეც სამედიცინო საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობაა ან მაშინ, როცა ყველა არჩევანს აქვს ნაკლი.

ასე რომ, რა არის ეთიკა და როგორ ესმარება ის ექიმს ასეთ ვითარებაში? მარტივად, ეთიკა არის ზნეობრივი მოძღვრების საგანი, მორალური გადაწყვეტილებების და ქცევის გულმოდგინე და სისტემური ანალიზი. მორალის ენა მოიცავს ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: უფლებები, პასუხისმგებლობა, ღირსება, კარგი და ცუდი, სწორი და არასწორი, სამართლიანი და უსამართლო.

ამ განსაზღვრებაზე დაყრდნობით, ეთიკა არის ცოდნის საკითხი, მაშინ, როცა მორალი უკვე არის ქმედება.

უნდა აღინიშნოს, რომ ცივილიზებულ მსოფლიოში მეტად და მეტად აცნობიერებენ ეთიკის მნიშვნელობას და საჭიროებას. წამყვანმა უნივერსიტეტებმა უკვე დანერგეს ეთიკის სწავლების ნოვაციური მოდელები.

3. ბიზნეს ეთიკის განვითარება

ბიზნესის ეთიკური განვითარება ახალი კულტურაა. იგი გააადვილებს ურთიერთობებს ადამიანებს შორის, მომსახურების კულტურას, რაც საბოლოოდ აისახება მოგების გაზრდაზე. თუ ბიზნესის ეთიკის შესწავლა ხელს უწყობს მოგების ზრდას, ყოველი მეწარმე დაინტერესდება ფირმის ეთიკური კულტურის ფორმირებით.²

ბიზნესში არსებობს დაუდგენელი წესებიც:

იზრუნე მომხმარებელზე, თანამშრომელზე და სამაგიეროდ ბაზარი იზრუნებს შენზე.

ბიზნესის სწორად ორგანიზებისათვის მნიშვნელოვანია საქმიანი ურთიერთობების სწორად წარმართვა. მისი დაგეგმვა წინასწარ შეუძლებელია. აქ უმეტესად მნიშვნელობა აქვს პიროვნების გადაწყვეტილებას, ინტელექტს, ერუდიციას. საუბრის ხელოვნებას ოდითგანვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეთიკური თუ მსოფლიო ლიტერატურაში არსებობს ცნობილ ადამიანთა განსაკუთრებით ვინც ბიზნესის სფეროში მოღვაწეობს, სახელმძღვანელო დებულებად გამოიყენონ.

იმისათვის რომ დავარწმუნოთ მეორე მხარე ჩვენი აზრის სისწორეში აუცილებელია დავიცვათ რამდენიმე წესი:

1. ჰომეროსის წესი - მოყვანილი არგუმენტების რიგითობა გავლენას ახდენს მოსაუბრის დამაჯერებლობაზე. უფრო ეფექტურია არგუმენტების ასეთი ჯგუფი ძლიერი, საშუალო და სუსტი.

2. სოკრატეს წესი - აქ მნიშვნელოვანია დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად ისეთი კითხვა დაისვას, რომელიც დადებით პასუხს მოგვცემს.

3. პასკალის წესი - ნუ მოვიმწვედევთ თანამოსაუბრეს კუთხეში, მივცეთ მას საშუალება სეინარჩუნოს საკუთარი სახე.

4. არგუმენტების დამარწმუნებლობა - მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დამარწმუნებლის იმიჯსა და სტატუსზე. ასეთ დროს დიდ როლს ასრულებს ავტორიტეტის ძალა.³

სამართლიანობის კონცეფცია ამტკიცებს, რომ ეთიკურად კორექტული გადაწყვეტილება დაფუძნებული უნდა იყოს თანასწორობის, სამართლიანობის და მიუკერძოებლობის პრინციპებზე. მენეჯერთა თავლსაზრისით არსებობს სამართლიანობის სამი ტიპი:

განაწილებული სამართლიანობა გულისხმობს, რომ მიღებული გადაწყვეტილება თანაბრად უნდა ეხებოდეს ერთნაირი უფლებებისა და ვალდებულებების მქონე თანამშრომლებს, ანუ არ უნდა ჰქონდეს ადგილი უპირატესობის მინიჭებას;

პროცედურული სამართლიანობა - ამ შემთხვევაში მენეჯერებს მოეთხოვებათ ხელქვეითთა საქმიანობის სამართლიანი ადმინისტრირება. წესები უნდა იყოს ზუსტი, გასაგები, მუდმივი და მიუკერძოებელი;

კომპენსირების სამართლიანობა ორგანიზაციას ავალდებულებს მიყენებული ზარალის

² ბანძელაძე მ., მიქაუტაძე გ., ბიზნესის ეთიკა, ქუთაისი 2009, გვ. 6-7.

³ ბანძელაძე მ., მიქაუტაძე გ., ბიზნესის ეთიკა, ქუთაისი 2009, გვ. 129-131.



კომპენსირებას. ადამიანები არ უნდა აგებდნენ პასუხს იმ მოვლენებზე, რომლებიც მათი კონტროლის არის გარეთ იმყოფება.

თუ მენეჯერი მხილვადია სიცრუეში, ტყუილსა და ქურდობაში, მაშინ შედეგები აისახება ადამიანებზე ან სიტუაციაზე. ბევრი ჩვენგანი ფიქრობს, რომ ეთიკურად კორექტული გადაწყვეტილებები სინდისის კარნახით მიიღწევა. ეს არც თუ მთლად სწორია.

ეთიკური ან მორალური ბიზნეს-პრაქტიკა არის – ორგანიზაციულ კულტურაში მიღებული ღირებულებების სისტემის გამოხატვის ფორმა, დამოკიდებულება, მოქმედების მანერა ან რწმენა. ამრიგად, მენეჯმენტის თვალსაზრისით, ეთიკური პრობლემა უფრო ორგანიზაციული პრობლემაა, ვიდრე პირადული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ექიმის ეთიკის კოდექსი, 2013 წლის მდგომარეობით;
 2. ლომინაძე დ., სამედიცინო მომსახურების ბაზრის განვითარების თავისებურებები და პერსპექტივები საქართველოში, თბ., 2011;
 3. ლორთქიფანიძე რ., ბიზნესის მართვა ჯანდაცვაში (სალექციო-მეთოდური მასალა), თბ., 2013;
 4. შუბლაძე გ., ნანიტაშვილი მ., ბიზნესის საფუძვლები, სახელმძღვანელო, თბ., 2011;
 5. ბანძელაძე მ., მიქაუტაძე გ., ბიზნესის ეთიკა, ქუთაისი 2009
- ინტერნეტ საიტი
Forum.ge > ... > ჯანმრთელობა და მედიცინა > სტომატოლოგია
www.gma.ge/ethics.php

FORMATION OF ETHICAL STANDARDS IN THE SPHERE OF HEALTH CARE AND ITS HISTORICAL DEVELOPMENT

SOFIO PIRTSKHALAVA

PhD of GTU

E-mail: sophiapir@yahoo.com

Summary

Paper considers the essence, norms and role of ethic in medical practice. Ethical principles such as respect for person, informed consent and confidentiality are the main and requisite provisions in relationship between doctor and patient. Ethic is the subject of knowledge, and moral – action.